



საქართველო  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 3  
18/02/2020

3-06-4-202002181603



დადგენილება N3  
2020 წლის 17 თებერვალი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №32  
დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

**მუხლი 1.** შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 27/12/2019, 190020020.35.113.016412), კერძოდ:

- გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელის ნაწილში **7 431 349 ლარით**:

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 იანვრის #76 განკარგულებით შევიდა ცვლილება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებაში, რომლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **7 431 349 ლარი**, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად, შესაბამისად გაიზარდოს ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდა (ორგანიზაციული კოდი - 02 02 01 – 61.1.1.11.) – **7 431 349 ლარით**.

**მუხლი 2.** დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 3.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო